ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი - აჭარის კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის

ბრძანება №

MES 7 23 0001-07/85

08/05/2023

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის პირობების ცვლილებისა და ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ენრიკო ბერიძის 2023 წლის 13 მარტის №285915, 7 აპრილის №397470 და 4 მაისის №500680 განცხადებები, სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 16 დეკემბრის №01-07/151 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული 2022 წლის 8 სექტემბრის N03-05/86 სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე და მიღებული იქნა გადაწყვეტილება - შეთანხმდეს, ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა №9-ში (ს/კ: 05.21.09.009) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შეთანხმებულ პროექტში, ექსტერიერისა და გეგმარების საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება (სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 26 აპრილის სხდომის ოქმი №03-04/6).

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და დადგინდა რომ სრულად აკმაყოფილებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 107-ე 112-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე 53-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილებისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის ,,გ” პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 16 დეკემბრის №01-07/151 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში, ენრიკო ბერიძის 2023 წლის 13 მარტის №285915, 7 აპრილის №397470 და 4 მაისის №500680 განცხადებებით წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით;
2. გაგრძელდეს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული 2022 წლის 8 სექტემბრის N03-05/86 სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ნებართვის მოქმედების ვადა 2024 წლის 8 იანვრამდე;
3. გაიცეს ახალი სანებართვო მოწმობა;
4.ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ